ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების“
სხდომის ოქმი №2

ქ. ლანჩხუთი

27.03.2019 წელი
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება–მრეწველების" თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე **ფრაქციის წევრები:** ელისო ჭიჭინაძე, ამირან ქანთარია. **მოწვეული სტუმრები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი ს. კვაჭაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი ს. კვაჭაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2019 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი ს. კვაჭაძე/

4. სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ ისაუბრა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი

პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე.

ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ კენჭი უყარააღნიშნულ საკითხს.
მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ, ისაუბრა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა ელიკო იმნაძემ. კერძოდ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს თანხმობას გაზარდოს დამხმარე (არამუდმივი) ამოცანების შესრულების მიზნით არსებული, შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნება ხუთი ერთეულით, რომელშიც იგულისხმება სპეციალისტი ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სპეციალისტი შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სპეციალისტი აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სპეციალისტი გენდერულ საკითხებში, სპეციალისტი სამედიცინო განათლებით სოციალურ და ჯანდაცვის სამსახურში.

ფრაქციის წევრმა ელისო ჭიჭინაძემ განმარტა, რომ ლესაში არის მაღალმთიანი სოფელი ჭინათი, მთლიანად ლესის ადმინისტრაციულ ერთეულს კი ჰყავს მხოლოდ ერთი სპეციალისტი, აუცილებლად საჭიროა კიდევ ერთი სპეციალისტის დამატება. მისთვის გაურკვეველია, თუ რა კრიტერიუმით შეირჩა წარმოდგენილი სამი სოფელი.

ასევე, **ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ** განმარტა, რომ ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულშიც უცილებელია სპეციალისტის დამატება, თუ აღნიშნული არ იქნება გათვალისწინებული საკითხს მხარს ვერ დაუჭერს.

ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 1, წინააღმდეგი 2 (ელისო ჭიჭინაძე, სპარტაკ კვაჭაძე).

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ, ისაუბრა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2019 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე.

ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

4. სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის წევრმა ამირან ქანთარიამ დააყენა საკითხი ქალაქის დასუფთავებასთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა თუ რატომ არ ხდება კლინიკა ჯანმრთელობის, ყოფილი კინოს და უნივერმაღის მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება.

ფრაქციის წევრებმა დასვეს საკითხი თუ როდის აშენდება საზოგადოებრივი საპირფარეშო ქალაქის ცენტრში.

ფრაქციის წევრმა ელისო ჭიჭინაძემ, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“ მიმართა თხოვნით რომ დაეხმაროს ლესაში გასართობი ცენტრის ჩამოყალიბებაში თანადაფინანსებით.

ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“
თავმჯდომარე: სპარტაკ კვაჭაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

27 მარტი **2019** წელი
12:**00** საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	სპარტაკ კვაჭაძე	11 50	
2	ზურაბ კუკულავა	[illegible]	
3	ამირან ქანთარია	12 00	
4	ელისო ჭიჭინაძე	12 00	